სარჩევი

რა არის ახალი 2

სასაჩუქრე ბარათების რეალიზაციის დღგ-თი დაბეგვრა 2

რა არის ახალი მარდიში 5

გასწორებული შეცდომები 5

სხვა მოდიფიკაციები 5

ბალანსის რელიზი_1.3.10.12

27.05.2025

რა არის ახალი

სასაჩუქრე ბარათების რეალიზაციის დღგ-თი დაბეგვრა

პროგრამაში დაემატა სასაჩუქრე ბარათების რეალიზაციის დღგ-თი დაბეგვრის ფუნქციონალი. ამისთვის ანგარიშთა გეგმაში დაემატა 2 ახალი ანგარიში:

3338 - სასაჩუქრე ბარათზე დარიცხული დღგ, კლასით „დარიცხული დღგ“

3348 - სასაჩუქრე ბარათზე გადახდილი / გადასახდელი დღგ, კლასით „ვაუჩერზე გადახდილი / გადასახდელი დღგ“

იმისათვის რომ სასაჩუქრე ბარათის რეალიზაციისას ოპერაცია დაიბეგროს კანონმდებლობასთან შესაბამისად, სასაჩუქრე ბარათის ცნობარზე გააქტიურებული უნდა იყოს ახალი ალამი „იბეგრება დღგ-თი“.



სასაჩუქრე ბარათის რეალიზაციის დოკუმენტში, ბარათის არჩევისას (რომელიც იბეგრება დღგ-თი), ავტომატურად შეივსება დღგ-ის მუხლი - მიწოდება კომპენსაციით. ისეთი ბარათის არჩევისას, რომელიც არ იბეგრება დღგ-თი - დღგ-ის მუხლი ავტომატურად შეივსება მნიშვნელობით “ბრუნვა არ გაითვალისწინება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხაში”.



აღნიშნულ ოპერაციასთან დაკავშირებული გატარებები ფორმირდება შემდეგნაირად

ანგარიში დბ	ანგარიში კრ	თანხა	შინაარსი
3348 - სასაჩუქრე ბარათზე გადახდილი / გადასახდელი დღგ,	3338- - სასაჩუქრე ბარათზე დარიცხული დღგ	30.51	სასაჩუქრე ბარათის რეალიზაცია



სასაჩუქრე ბარათით გადახდისას კი ფორმირდება დღგ-ის აღდგენის ოპერაცია:

ანგარიში დბ	ანგარიში კრ	თანხა	შინაარსი
3330 - გადასახდელი დღგ	3348- სასაჩუქრე ბარათზე	30.51	დღგ-ის აღდგენა

	გადახდილი / გადასახდელი დღგ		





რა არის ახალი მარდიში

(მარდის რელიზი-1.5.0)

ფუნქციონალი:

- აპლიკაციის პლატფორმის განახლება
- ფონურად გაშვების განახლება
- აპლიკაციის ვიზუალის დახვეწა
- აპლიკაციის ტექნიკური საკითხების დახვეწა

გასწორებული ხარვეზები:

- კლიენტების სიის ძებნიდან დოკუმენტის გაფორმებისას გაცვლის ხარვეზი

გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია მაკზე საშემოსავლო დეკლარაცია დანართი „ა“-ს გადატვირთვის ხარვეზი
- გასწორებულია ამონაწერის შეტვირთვისას ფილიალების გათვალისწინების ხარვეზი

სხვა მოდიფიკაციები

- ნაშთების ვებ სერვისებში დაემატა ჯამური ნაშთების პარამეტრი
- სასაქონლო ზედნადებების მიხედვით დოკუმენტის შექმნის დროს არსებული დოკუმენტების კონტროლი
- დაიხვეწა რეალიზაციისა და ავანსის ანგარიშ-ფაქტურების წყვილების ანალიზის ანგარიშგება
- გაცემული ფაქტურების სტატუსების განახლების ავტომატიზაცია